# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

## გადაწყვეტილება

N გ-19-21/340
30/05/2019

340-შ-19-1-4-201905301341

**სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ 2018 წლის ბიუჯეტების მუხლების ფაქტიური შესრულების შესახებ**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში „კომისია“) 2018 წლის ფაქტური ჯამური შემოსავალის სახით მიიღო 10,297,052.85 ლარი, საიდანაც რეგულირების საფასურის შემოსავალია 8,746,995.15 ლარი, რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური 1,499,775.00 ლარი, ხოლო საპროცენტო შემოსავლები 50,282.70 ლარი. 2018 წლის ფაქტიურმა შემოსავლებმა 62,052.85 ლარით გადააჭარბა გეგმით გათვალისწინებულს:

| შემოსავლის დასახელება | გეგმა ლარში | ფაქტიური ლარში | გადახრა ლარში |
|---|---|---|---|
| რეგულირების საფასური | 8,710,000.00 | 8,746,995.15 | 36,995.15 |
| რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური | 1,500,000.00 | 1,499,775.00 | -225.00 |
| საპროცენტო შემოსავლები | 25,000.00 | 50,282.70 | 25,282.70 |
| | | | |
| სულ | 10,235,000.00 | 10,297,052.85 | 62,052.85 |

ხარჯვითი ნაწილის უმრავლეს პუნქტში მიღებულია ეკონომია და აუცილებლობიდან გამომდინარე გამოყენებული იქნა ბიუჯეტის სხვა მუხლების დასაფინანსებლად.

**ძირითადი საშუალებები -- ჯამური ეკონომია 82,892.16 ლარი**

კომისიის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 477,953.56 ლარის ძირითადი საშუალების შეძენა, საიდანაც შესყიდული იქნა 395,061.40 ლარის ძირითადი საშუალება:

| ძირითადი საშუალებები | ხარჯი ლარი |
|---|---|
| საოფისე ინვენტარი (ავეჯი, სავარძლები, ოფისის აღჭურვილობა და სხვა) | 12,342.00 |
| TCI-მონიტორინგის სისტემის მე-4 ფაზის დარჩენილი ნაწილი | 123,899.99 |
| მობილური კავშირგაბმულობის სისტემების ოფციები - მოდულაციების, MIMO და სხვა პარამეტრების გასაზომად | 47,168.29 |
| PROMAX სამაუწყებლო და სატელიტური ანალიზატორი ახალი სტანდარტებით აღჭურვილი | 25,000.00 |
| კომპიუტერები და ლეპტოპები | 37,584.00 |
| პრინტერები | 12,641.78 |
| UPS-ები | 2,549.70 |
| ინტერნეტის ხარისხის გასაზომი სისტემა MCS | 79,995.65 |
| ინტერნეტის ხარისხის გასაზომი სისტემის პროგრამა | 23,075.38 |
| შრედერი | 2,073.48 |
| სპეციალური მობილური ტელეფონი პროგრამული უზრუნველყოფით 4 ცალი | 26,253.13 |
| საჰაერო გამთიშველის მონტაჟი შავნაბადას რადიომონიტორინგის სადგურზე | 2,478.00 |
| | |
| **სულ** | **395,061.40** |

2018 წელში TCI INTERNATIONAL-ისათვის სრულად იქნა ანგარიშსწორებული წინა საანგარიშო პერიოდში მოწოდებული რადიოსიხშირული აპარატურის ღირებულების დარჩენილი თანხა 123,899.99 ლარი.

**საკანცელარიო, საფოსტო, პოლიგრაფიული და ჟურნალ-გაზეთების ხარჯები -- ეკონომია 5,629.95 ლარი**

ამ მუხლში ჯამურმა დანახარჯებმა შეადგინა 29,984.05 ლარი, ნაცვლად ბიუჯეტით დამტკიცებული 35,614.00 ლარისა.

| საკანცელარიო, საფოსტო, პოლიგრაფიული და ჟურნალ-გაზეთების ხარჯები | ხარჯი ლარი |
|---|---|
| საკანცელარიო საქონელი | 7,257.45 |
| საწერი ქაღალდი | 5,312.50 |
| ბლანკები (ბრძანების, სატიტულო, გადაწყვეტილების, მკაცრი აღრიცხვის ფორმები, კონვერტები და სხვა) | 2,783.20 |
| წლიური ანგარიშის გამოცემა | 10,626.74 |
| პროფესიული ჟურნალები | 4,004.16 |
| | |
| სულ | **29,984.05** |

ეკონომია ძირითადად მიღებულია საწერი ქაღალდის და ბლანკების პუნქტებში.

**კომუნიკაციის, ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის ხარჯები -- ეკონომიაა 31,088.75 ლარი**

სულ გახარჯულია 159,171.25 ლარი, ნაცვლად ბიუჯეტით დამტკიცებული 190,260.00 ლარისა. 31,088.75 ლარის ეკონომიაა ძირითადად გამოწვეულია მობილური ტელეფონების მომსახურეობის, ელექტროენერგიის გადასახადის და ბუნებრივი აირის გადასახადის ხარჯებში მიღებული ეკონომიით.

| კომუნიკაციის, ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის და სხვა კომუნალური ხარჯები | ხარჯი ლარი |
|---|---|
| სატელეფონო მომსახურეობა | 11,802.03 |
| მობილური ტელეფონების მომსახურეობა | 8,231.13 |
| ინტერნეტის მომსახურეობა | 32,048.00 |
| ჰოსტინგი, ელექტრონული ფოსტა, საკაბელო ოპერატორები, კოლოცაცია | 3,698.91 |
| რადიო-სარელეო მომსახურეობა სილქნეტი | 10,510.00 |
| ელექტროენერგიის გადასახადი | 59,943.97 |

| | |
|---|---|
| სასმელი წლით მომარაგება | 5,802.25 |
| წყლის გადასახადი | 6,314.32 |
| ბუნებრივი აირის გადასახადი | 17,926.24 |
| დასუფთავების გადასახადი | 2,894.40 |
| | |
| **სულ** | **159,171.25** |

**ავტომანქანის საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯები -- ეკონომიაა 14,136.43 ლარი**

ბიუჯეტის ამ მუხლის ეკონომია - 14,136,43 ლარი გამოწვეულია ავტომანქანის დაზღვევის ხარჯსა და ბენზინის საწვავის ხარჯში მიღებული ეკონომიით. გეგმით გათვალისწინებული იყო 180,000.00 ლარი, ხოლო დანახარჯმა შეადგინა 165,863.57 ლარი.

| **ავტომანქანების საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯები** | **ხარჯი ლარი** |
|---|---|
| დიზელის საწვავი | 28,281.66 |
| ბენზინის საწვავი | 45,602.72 |
| ავტომანქანების რემონტი და საბურავები | 43,000.34 |
| ავტომანქანის საგარანტიო მომსახურეობა | 4,764.50 |
| ავტომანქანების რეცხვით მომსახურეობა | 4,169.00 |
| ავტომანქანების და აპარატურის დაზღვევა | 40,045.35 |
| | |
| **სულ** | **165,863.57** |

**მივლინების ხარჯები -- ეკონომია 32,221.13 ლარი**

2018 წლის მივლინების ხარჯებმა, ნაცვლად კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებული 281,643,23 ლარისა, შეადგინა – 249,422,1 ლარი. აღნიშნული დანახარჯი გამოწვეულია აუცილებელი და მიზნობრივი მივლინებების ფაქტიური დაფინანსებებით, რომელთაგან ძირითადად აღსანიშნავია: GSMA მინისტერიალი, ITU-ს GSR - რეგულატორების გლობალური სიმპოზიუმი, ITU-R მე-5 შემსწავლელი ჯგუფის შეხვედრა, ITU ინდიკატორების (EGH/EGTI) ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა, ETSI-ის გენერალური ასამბლეა, ICANN/GAC-ის, EaPeReg-ის და Twinning-ის შეხვედრები, ხორვატიაში ვიზიტი მონიტორინგის სადგურების მუშაობის პრინციპის გასაცნობად, FTTH council europe-ის სესიები, EPRA-სა და ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორიის შეხვედრები და სხვა. ამ ხარჯებში აგრეთვე შედის, საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული მივლინებების დაფინანსება, რომლებიც ძირითადად ემსახურებოდა ლიცენზირებული და ავტორიზებული პირების სალიცენზიო პირობების შესრულების მონიტორინგს და რადიოელექტრონული მოწყობილობების პელენგაციასა და ტექნიკური მახასიათებლების ადგილზე შემოწმებას.

**საბანკო მომსახურეობის ხარჯები -- გადახარჯვაა 12,302 ლარი**

12 თვის საბანკო მომსახურეობის ხარჯმა შეადგინა 15,302 ლარი, ნაცვლად ბიუჯეტით გათვალისწინებული 3,000.00 ლარისა, რაც ძირითადად გამოწვეულია

კონვერტაციის ოპერაციის ხარჯებით. აღნიშნულ მუხლის გადახარჯვა დაიფარა ბიუჯეტის სხვა მუხლების ეკონომიის ხარჯზე.

**კონფერენციების ჩატარების, მუშა სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვა ხარჯები -- ეკონომია 51,991.29 ლარი**

კონფერენციების ჩატარების, მუშა სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვა ხარჯების მუხლით, 2018 წლის განმავლობაში გაწეულმა ხარჯებმა სულ შეადგინა – 127,813.68 ლარი, ნაცვლად შესაბამისი პერიოდის განმავლობაში გასაწევი - 179,804.97 ლარისა. ეს ხარჯი ძირითადად შედგება: CULLEN INTERNATIONAL-ის სასწავლო მივლინებებისაგან თემებზე: ციფრული ეკონომიკის რეგულირება, სამაგისტრო ევროპული სატელეკომუნიკაციო რეგულირება და თანამედროვე ტელეკომის შესავალი, ასევე ინტერნეტის ხარისხის გასაზომი სისტემის ტრეინინგის, ქსელური და პროგრამული უსაფრთხოების კურსების, კომისიის მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებულთათვის მენეჯმენტში ტრენინგის, საპენსიო სისტემასთან დაკავშირებული ტრეინგისა და სხვა ხარჯებისაგან.

**სხვადასხვა საწევრო გადასახადები -- ეკონომიაა 972.57 ლარი**

ამ მუხლით გახარჯულია 46,149.11 ლარი, საიდანაც ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის (ETSI) საწევრო გადასახადის ხარჯი შეადგენს 22,832.61 ლარს, მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის ორგანიზაციის (EPRA) – 11,834.03
ლარს, ხოლო EUROPEAN AUDIOVISUAL OBSERVATORY-ის 2018 წლის გადასახადი - 11,482.47 ლარს, აღნიშნული თანხები მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილ სავალდებულო გადასახადებსაც (არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადი და უკუდაბეგვრის დღგ).

**საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯები -- ეკონომია 159,563.85 ლარი**

წინამდებარე მუხლით დახარჯულია სულ 326,286.15 ლარი. ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 485,850.00 ლარის ხარჯი. ხარჯვით ნაწილში შედის: მობილურის და ფიქსირებულის ქსელის WACC-ის განახლება 20,725.98 ლარი, NGA საბითუმო მომსახურების ღირებულების გაანგარიშება (LRIC) -- 77,261.07 ლარი, NGA საბითუმო მომსახურების ღირებულების გაანგარიშება (LRIC) -- 37,688.87 ლარი, ინტერნეტის საცალო მომსახურების ქსელის ღირებულების და საცალო ღირებულების გაანგარიშების WACC ახალი თაობის ქსელისათვის მოდელის გამოთვლა -- 77,261.07 ლარი, საზოგადოებრივი აზრის კვლევა რადიომაუწყებლობისათვის -- 34,928.00 ლარი, სამაუწყებლო ტელეარხების მონიტორინგის (დამთვლელი) პროგრამა -- 13,158.64 ლარი, Cullen International-ის მონაცემთა ბაზაზე წვდომა -- 65,262.52 ლარი და სხვა. ეკონომია ძირითადად გამოწვეულია EBRD საკონსულტაციო პროექტის თანადაფინანსების თანხის აუთვისებლობით.

**სხვა საერთო ხარჯები -- ეკონომიაა 252,362.2 ლარი**

სხვა საერთო ხარჯების მუხლით, 2018 წელში განსაზღვრული იყო 639,901.78 ლარი, ხოლო გახარჯულია 387,539.58 ლარი, აქედან გამომდინარე ეკონომია არის 252,362.2 ლარი. აღნიშნული ეკონომია, ძირითადად, გამოიწვია სტანდარტების რეესტრში რეგისტრაცის, კარტრიჯების დამუხტვის, შესყიდვის სააგენტოს

მომსახურეობის, ინტერნეტის ხარისხის გასაზომი სისტემის მომსახურეობის, 1 წლიანი ქსელური ლიცენზიების და მხარდაჭერის, სასამართლო საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის, კომისიის რეგრენდინგის და სხვა ხარჯების შემცირებით ან აუთვისებლობით.

| სხვა საერთო ხარჯები | ხარჯი ლარი |
|---|---|
| სტანდარტების რეესტრში რეგისტრაცია | 4,250.00 |
| სამეურნეო საქონელი დამლაგებლებისთვის (სარეცხ-საწმენდი და ჰიგიენის საშუალებები) | 8,599.80 |
| ჰიგიენური საქონელი (ერთჯერადი ხელსახოცები, თხევადი საპონი და სხვა) | 8,178.70 |
| სანტექნიკის საქონელი | 312.00 |
| ადმინისტრაციული შენობის დაცვის მომსახურეობა | 67,251.00 |
| რადიო სპექტრის მონიტორინგის სადგურების დაცვა | 56,160.00 |
| ელექტროსაქონელი | 1,483.25 |
| ნათურები | 3,780.80 |
| კარტრიჯების დამუხტვა | 2,180.64 |
| საინფორმაციო "ახალი ამბების" ინფორმაციის შესყიდვა | 1,557.65 |
| ლიფტის მომსახურეობა | 1,500.00 |
| არქივის დამუშავების ხარჯი (საქმის წარმოება და საოქმო) | 7,500.00 |
| მთარგმნელობითი მომსახურეობა | 20,140.74 |
| ფოსტის მომსახურეობა | 18,828.76 |
| შესყიდვის სააგენტოს მომსახურეობა | 875.00 |
| შენობების დეზინფექციის მომსახურეობა | 2,025.00 |
| გენერატორის მომსახურეობა | 473.64 |
| ინტერნეტის ხარისხის გასაზომი სისტემის სერვერების 1 წლიანი ლიცენზიები სერვერების 1 წლიანი საგარანტიო, სერვერის 1 წლიანი ქირავნობა და კონფიგურაციის მომსახურეობა | 94,410.16 |
| ვაკანსიები და კონკურსები (8 ვაკანსია, ერთეულის ფასი 300 ლარი) | 200.00 |
| აპლიკანტების ცონდის შეფასება | 2,690.00 |

| | |
|---|---|
| თანამშრომელთა ყოველთვიური შემაჯამებელი შეხვედრის ხარჯები | 3,485.68 |
| კომპიუტერული აქსესუარები | 2,389.00 |
| ქსელური ლიცენზიები და მხარდაჭერა - 1 წლიანი | 27,500.00 |
| სახელმწიფო ბაჟი სასამართლო საქმეებზე | 150.00 |
| 2017 წლის აუდიტის მომსახურეობა | 18,700.00 |
| მედია მონიტორინგის მომსახურეობა | 7,480.00 |
| სოციალურ ქსელებში კომისიის საქმიანობის პოპუპარიზაცია | 7,300.78 |
| გაუთვალისწინებელი ხარჯები | 18,136.98 |
| | |
| **სულ** | **387,539.58** |

**წარმომადგენლობითი ხარჯები -- ეკონომიაა 12,251.76 ლარი**

წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით განსაზღვრულმა ხარჯებმა ნაცვლად ბიუჯეტით გათვალისწინებული 37,960.00 ლარისა, შეადგინა 25,708.24 ლარი, რაც 12,251.76 ლარით ნაკლებია კომისიის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე.

**მიმდინარე რემონტის ხარჯები -- გადახარჯვაა 825.9 ლარი**

მიმდინარე რემონტის მუხლით 2018 წლის განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა – 15,825.9 ლარი, რაც 825.9 ლარით მეტია კომისიის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე.

**შრომის ანაზღაურება -- ეკონომია 75,982.9 ლარი**

შრომის ანაზღაურების მუხლით წლიური ხარჯი, საბიუჯეტო ანარიცხების გარეშე, დაგეგმილი იყო 4,203,320.00 ლარი. ფაქტიურად შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა – 4,127,337.10 ლარი, ანუ შესაბამის პერიოდის გეგმასთან შედარებით - 75,982.9 ლარით ნაკლები.

**სახელმწიფო ბიუჯეტის ანარიცხები - ეკონომიაა 15,295.73 ლარი**

**მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ხარჯები -- ეკონომია 18,119.5 ლარი**

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ხარჯებმა, ნაცვლად კომისიის ბიუჯეტით შესაბამისი პერიოდისათვის დადგენილი - 21,500.00 ლარისა შეადგინა – 3,380.5 ლარი.

**მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შრომის ანაზღაურების და სახ. ბიუჯეტის ხარჯები -- გადახარჯვა 17,750.03 ლარი**

ამ პუნქტის ხარჯებმა, ნაცვლად დაგეგმილი ხარჯის 247,319.1 ლარისა, ფაქტიურად შეადგინა – 265,069.13 ლარი, რაც 17,750.03 ლარით მეტია კომისიის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე, მათ შორის გათვალისწინებულია შრომის წახალისების და მოტივაციის ამაღლების ხარჯებიც. გადახარჯვა ძირითადად გამოწვეულია სამსახურში დასაქმებული თანამშრომლის დეკრეტული შვებულების თანხის გადახდით.

**შრომის წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების ფონდი -- ეკონომიაა 106,128.35 ლარი.**

რაც შეეხება შრომის წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების ფონდიდან გაწეულ ხარჯებს: I კვარტალში გაცემული იქნა 310,509.00 ლარი, II კვარტალში -- 378,651.66 ლარი, III კვარტალში -- 288,094,15 და IV კვარტალში - 410,210,65 ლარი. აღნიშნული თანხები მოიცავს საშემოსავლო გადასახადის ხარჯსაც. სულ შრომის წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების ფონდის ხარჯების ჯამმა შეადგინა 1,387,465.55 ლარი. აღნიშნული თანხა 106,128.35 ლარით ნაკლებია წლიურ გეგმაზე.

**წინასაარჩევნო მედიამონიტორინგი -- ეკონომიაა 1,912.00 ლარი**

ამ მუხლში ნაცვლად 50,000 ლარისა გახარჯულია 48,088.00 ლარი საპრეზიდენტო არჩევნების ორივე ტურის წინასაარჩევნო მედიამონიტორინგისათვის.

**მედიაწიგნიერების ხარჯები -- ეკონომიაა 438,175.52 ლარი**

მედიაწიგნიერების მუხლი კომისიის ბიუჯეტში ახალია. დაგეგმილი იყო კომისიის მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის საქმიანობისათვის -- 585,481.07 ლარის და კომისიის მიერ მედიაწიგნიერების ხელშეწყობისთვის დაფუძნებული ა(ა)იპ „მედიააკადემიისათვის“ – 501,346.71 ლარის ხარჯი, სულ თანხით 1,086,827.78 ლარი. მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობისათვის კომისიის მიერ გახარჯული იქნა 378,082.86 ლარი, ხოლო ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ მიერ -- 63,171.19 ლარი, სულ 441,254.05 ლარი.

.

კომისიის მიერ გაწეული ხარჯებია:

| **მედიაწიგნიერების ხარჯები** | **ხარჯი ლარი** |
|---|---|
| ექსპერტების დაქირავება | 98,137.14 |
| მთარგმნელობითი მომსახურეობა | 17,420.89 |
| საკონფერენციო მომსახურეობა | 27,766.60 |
| ოფისის ქირავნობა | 164,102.03 |
| ტექნიკური მხარდაჭერა (ქსელის გამართვა და სხვა) | 1,497.50 |
| მედიააკადემიის ბრენდინგი | 34,574.00 |
| შრომის ანაზღაურება | 32,081.04 |
| მივლინება | 2,503.66 |
| | |
| **სულ** | **378,082.86** |

ხოლო ა(ა)იპ „მედიააკადემიამ“ კომისიის მიერ მიღებული მიზნობრივი დაფინანსებიდან მიზნობრივად გახარჯა:

| ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ ხარჯები | ხარჯი ლარი |
|---|---|
| ძირითადი საშუალებები | 7,698.00 |
| მივლინების ხარჯები | 2,546.00 |
| საბანკო მომსახურეობის ხარჯი | 160.19 |
| ტრეინინგის ხარჯები | 13,412.00 |
| შრომის ანაზღაურება | 31,484.00 |
| სახ. ბიუჯეტის ანარიცხები | 7,871.00 |
| | |
| **სულ** | **63,171.19** |

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2018 წლის ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 10,297,052.85 ლარი, ხოლო ფაქტიურმა ხარჯმა --- 9,242,800.26 ლარი. შესაბამისად, კომისიის 2018 წლის ფაქტიური შემოსავალი 1,054,252.59 ლარით აჭარბებს ფაქტიურ ხარჯს.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად ერთხმად

**გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნას მიღებული კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ნ. დევდარიანის ინფორმაცია კომისიის და ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ 2018 წლის ბიუჯეტების მუხლების ფაქტიური შესრულების შესახებ;
2. დამტკიცდეს წარმოდგენილი 2018 წლის წლიური კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები:

ა) ფაქტიური შემოსავლები --10,297,052.85 ლარი;
ბ) საოპერაციო ხარჯები --- 8,847,738.86 ლარი, მათ შორის ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ მიზნობრივი ხარჯი 63,171.19 ლარი;
გ) ძირითადი საშუალებების შეძენის ხარჯები -- 395,061.40 ლარი;

3. დამტკიცდეს 2018 წლის ფაქტიური მონაცემების მიხედვით, კომისიის შემოსავლების ხარჯებზე გადამეტება -- 1,054,252.59 ლარი;
4. დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტს, აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტს და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, დააწესონ სისტემატიური კონტროლი ლიცენზიიის მფლობელთა და ავტორიზებულ პირთა მხრიდან სალიცენზიო პირობების დაცვის უზრუნველყოფისათვის;
5. კომისიის აპარატის შესაბამისმა დეპარტამენტებმა/სამსახურებმა ხელი შეუწყონ „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესრულებას;

6. დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს ლიცენზიის მფლობელთა ან/და ავტორიზებულ პირთა მიერ რეგულირების საფასურის გადაუხდელობის ან/და კომისიაში შესაბამისი ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესაბამისი სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება;

7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) ერთი თვის ვადაში;

8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ნ. დევდარიანი).

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

მერაბ ქათამაძე

კომისიის თავმჯდომარის მ.შ.